



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუმანიშვილი გრიგოლ (გივი) დიმიტრის ძე

თუმანიშვილი გრიგოლ (გივი) დიმიტრის ძე (10. VIII. 1925, თბილისი, – 17. VII. 2007, იქვე), ბიოლოგი. საქართველ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1983), საქართველ. სამედიცინ. და ეკოლ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1994). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1969), საქართველ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1949). საქართველ. მეცნ. აკად. ფიზიკის (1965-66), შემდეგ კი (1966-იდან) ექსპერ. მორფოლ. ინტის ბიოფიზიკის განც-ბის (1973 განვითარების ბიოლ. განც-ბად იქნა რეორგანიზებული) ხელმძღვანელი. 1969-იდან იყო თბილ. სახელმწ. უნ-ტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის პროფესორი, 1982-იდან – ამავე კათედრის გამგე.

თ-მა საქართველოში პირველმა წამოიწყო გამოკვლევები განვითარების ბიოლოგიაში. თ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: უჯრედის გამრავლებისა და დიფერენცირების მარეგულირებელი მექანიზმები, გენების აქტივობის რეგულირება, უჯრედის ულტრასტრუქტურა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შეისწავლა ზრდის შემაჩერებელი ფაქტორების ბირთვული ლოკალიზაცია და ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორების ციტოპლაზმური ლოკალიზაცია, ცხოველთა ორგანოების რეგენერაციის კანონზომიერებათა მექანიზმები. აღმოაჩინა გულის კვილონები. შექმნა უჯრედის დიფერენცირების ორიგინ. თეორია.

თ. წლების განმავლობაში იყო „ცხოველთა ინდივიდური განვითარებისა და ონტოგენეზის მართვის პროცესების" საკავშირო საკოორდინაციო საბჭოს წევრი (1972-იდან), 2002-იდან – ამავე საბჭოს თავჯდომარე. იყო „საქართველოს მწვანეთა" მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი, „მწვანეთა" ეკოლ. ასოციაციის პრეზიდენტი (1988), 1992-2000 – მეცნ. და ტექნოლ. დეპარტამენტის ზოგადი ბიოლ. საექსპერტო საბჭოსა და

საქართვე. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის
ექსპერტკონსულტანტი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის 4 სამეცნ. მონოგრაფია, 1
სახელმძღვანელო და 1 მეთოდური მითითება.

1997 თ. აირჩიეს რეგენერაციის შემსწავლელთა საერთაშ. ასოციაციის პრეზიდენტად.
დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997) და ივ. ჯავახიშვილის მედლით (1986). იყო
პარლამენტის წევრი (1992-95).

თბზ.: უჯრედების დიფერენცირება, თბ., 1979; ცოცხალი სისტემების ონტოგენეზური
თეორია, თბ., 1991.
